საქმე N 050100120003558654
საქმე N 1-95-20

განაჩენი
საქართველოს სახელით

24.04.2020 წელი ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის რაიონული სასამართლო

მოსამართლე მარინა კიკნაძე

სხდომის მდივანი თამილა მახარაძე- ბოლქვაძე

ბრალდების მხარე
პროკურორი: შო--------ძე

დაცვის მხარე
ადვოკატი: მე----------აია

ღია სასამართლო სხდომაზე არსებითად განიხილა სისხლის სამართლის საქმე N----------

ბრალდებული: ირ---–----------ძე
მამის სახელი: გ-------
დაბადებული: 1-.05.1---წ.
პირადი ნომერი: 4----------
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე
განათლება: უმაღლესი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ნასამართლეობა: არ მქონე
რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები: ჩოხატაური, სოფელი ი-------–-

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე**

მუხლის **მე-2** ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით
დისპოზიცია: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით
დისპოზიცია: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის და ორი პირის მიმართ;

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი)
დისპოზიცია: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ,,დ'' ქვეპუნქტებით
დისპოზიცია: სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ;

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2020 წლის 23 თებერვლის ეპიზოდი)
დისპოზიცია: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

1. სასამართლომ დაადგინა

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იან-------ი მცხოვრები ირ---------------ძე, 2--- წლიდან მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ნი----------------ლს, რომელთანაც ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას, 2016 წლიდან 2020 წლის 23 თებერვლამდე დროის პერიოდში ძირითადად საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, კერძოდ მისი საოჯახო საქმიანობით უკმაყოფილო, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად უმიზეზოდ, არასრულწლოვანი შვილების: 2---ის და 2---აძის თანდასწრებით სისტემატურად შეურაცხყოფდა და ამცირებდა, კერძოდ, მიმართავდა მას უცენზურო სიტყვებით, აგინებდა დედისა და ნათესავების მისამართით, ირ---------------ძის მხრიდან განხორციელებული ქმედებების შედეგად კი ნი----------------ლმა განიცდიდა სულიერი ტანჯვა.

1.2. 2019 წლის 19 სექტემბერს დაახლოებით 1-:00 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იან-------ი მცხოვრებმა ირ---------------ძემ, მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ნი----------------ლს საცხოვრებელ სახლში, სრულიად უმიზეზოდ დაუწყო შეურაცხყოფის მიყენება, რაზეც ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ არ იყო მის მიმართ მართალი და უსაფუძვლოდ აყენებდა ამდენ შეურაცხყოფას, მეუღლის სიტყვებზე განაწყენდა ირ---------------ძე, მიუახლოვდა ნი----------------ლს და არასრულწლოვანი შვილების: 2007 წელს დაბადებული მა--------------ძის და 2---აძის თანდასწრებით, მარჯვენა მუშტი ორჯერ ძლიერად ჩაარტყა ცხვირში. ირ---------------ძის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შედეგად კი ნი----------------ლმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და ცხვირიდან წამოუვიდა სისხლი. დედის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამო ირ---------------ძეს საყვედური უთხრა ფაქტის შემსწრე არასრულწლოვანმა შვილმა - მა--------------ძემ, რაზეც განაწენდა ირ---------------ძე და არასრულწლოვანი ძმის - ნი------------------აძის თანდასწრებით იძალადა მა--------------ძეზე, კერძოდ ხელი გაარტყა სახეში, რითაც მა----------------ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.3. 2019 წლის ოქტომბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, დაახლოებით 19:00 საათიდან 20:00 საათამდე დროის შუალედში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იან-------ი მცხოვრებმა ირ---------------ძემ, მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ნი----------------ლს საცხოვრებელ სახლში, არასრულწლოვანი შვილების: 2007 წელს

დაბადებული მა----------ძის და 2009 წელს დაბადებულ ნი----------აძის თანდასწრებით სრულიად უმიზეზოდ დაუწყო შეურაცხყოფის მიყენება, რაზეც ნი----------აძემ მოსთხოვა მამას, რომ დაენებებინა დედისთვის თავი და პირველ სართულზე მდებარე მისაღები ოთახიდან დააპირა გასვლა საძინებელ ოთახში. აღნიშნულზე განაწყენდა ირ----------ძე და სწრაფად დახურა ოთახის კარები, რომელიც ხელზე მოხვდა ნი----------აძეს და დაეცა იგი იატაკზე, რის შემდეგაც არასრულწლოვანი დის - მა----------ის თანდასწრებით ირ----------ძემ ფეხი ჩაარტყა გვერდში ნი----------აძეს, რითაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.4. 2020 წლის 21 თებერვალს დაახლოებით 19:00 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იან-------ი მცხოვრებმა ირ----------ძემ, მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ნი----------ლს საცხოვრებელ სახლში, არასრულწლოვანი შვილების: 2----------ის და 2----------აძის თანდასწრებით, უმიზეზოდ დაუწყო შეურაცხყოფის მიყენება, რაზეც მა----------ძემ და ნი----------აძემ მოსთხოვეს მამას, რომ დაენებებინა, როგორც დედისთვის, ასევე მათთვის თავი, ნუ შეურაცხყოფდა ოჯახის წევრებს, რადგანაც ისინი ამას არ იმსახურებდნენ და მიეცა მათთვის ნორმალური ცხოვრების საშუალება. აღნიშნულზე განაწყენდა ირ----------ძე და დაემუქრა სიცოცოცხლის მოსპობით, როგორც მის არასრულწლოვან შვილებს, აგრეთვე ოჯახის წევრს მეუღლეს - ნი----------ლს, რის შემდეგაც გავიდა ოთახიდან, აიღო საცხოვრებელი სახლის უკან დადებული ცული და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაიძრა მათკენ, ვინაიდან ნი----------ლსა და მის არასრულწლოვან შვილებს: მა----------ესა და ნი----------აძეს გაუჩნდათ ირ----------ძის ქმედებიდან გამომდინარე მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, სწრაფად დატოვეს საცხოვრებელი სახლი და ღამით დარჩნენ ნათესავთან ოჯახში.

1.5. 2020 წლის 23 თებერვალს, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, დაახლოებით 1-:00 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იან-------ი მცხოვრებმა ირ----------ძემ, მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ნი----------ლს საცხოვრებელ სახლში, საყოფაცხოვრებო საკითხზე საუბრისას არასრულწლოვანი შვილების: 2----------ის და 2----------აძის თანდასწრებით დაუწყო შეურაცხყოფის მიყენება, აგინა დედისა და ნათესავების მისამართით, რაზეც მა----------ემ მოსთხოვა მამას, რომ დაენებებინა დედისთვის თავი. აღნიშნულზე განაწყენდა ირ----------ძე და არასრულწლოვანი ძმის - ირ----------ძის თანდასწრებით სახეში გაარტყა ხელი მა----------ეს, რის შემდეგაც წვდა თმებში და ძლიერად დაქაჩა, ირ----------ძის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შედეგად კი მა----------ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი და მამის მხრიდან ოჯახში განხორციელებული ძალადობის აღსაკვეთად დაუკავშირდა 112-ის ოპერატორს და ითხოვა

პოლიციის დახმარება.

2. ქმედებების სამართლებრივი აღწერა

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის და ორი პირის მიმართ;

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ;

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

2.1. 2----------ის წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ბრალდების და დაცვის მხარეთა მოსაზრებები, გაეცნო წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ბრალდების მტკიცებულებები საკმარისად მიიჩნია ვარაუდისათვის, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით **ბრალდებულ ირ----------ძის** მიმართ გამოტანილ იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. წინასასამართლო სხდომაზე, ირ----------ძემ წარდგენილ ბრალდებებში თავი ცნო დამნაშავედ და დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მიერ

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან სადავოდ გახადა მხოლოდ დაზარალებულ ნი----------ლის გმოკითხვის ოქმი.

საქმის არსებითი განხილვის დროს, ბრალდებულმა **ირ---—----------ძემ** თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში, აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება, დაცვის მხარე დაეთანხმა საქმეში არსებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, ამასთან მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება სადავო არ არის და ორივე მხარე სრულად ეთანხმება აღნიშნული მტიცებულებებით დადგენილ და დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **73.1** მუხლის "დ" ქვეპუნქტით, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **220-ე** მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონაწილეობით საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, ასევე მათგან მიღებულ იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. მტკიცებულების უდავოდ მიჩნევით, მხარეები პრაქტიკულად იყენებენ მათთვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **73.1** მუხლის,,დ“ ქვეპუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

ვინაიდან მხარეებმა არც ერთი მტკიცებულება სადავოდ არ მიიჩნიეს, ისინი გამოკვლევის გარეშე მიღებულ იქნა მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია.

განსახილველ საქმეში უდავოდ ცნობილი მტკიცებულებების საქმის არსებით განხილვაზე გამოკვლევა არ მომხდარა, თუმცა ისინი სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **82.1** მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ **ირ---—----------ძის** მიმართ წარდგენილი ბრალდებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ,,დ'' ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2020 წლის 23

თებერვლის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, გარდა ბრალდებულის აღიარებისა, დადასტურებულია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებად და უდავოდ ცნობილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებენ **ირ-------------ძის ბრალეულობას წარდგენილი ბრალდების ხუთივე ეპიზოდიში, კერძოდ** 2020 წლის 23 თებერვალს შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოში 112-ის სამსახურიდან მიღებული შეტყობინება, დაზარალებულ ნი--------------ლის გამოკითხვის ოქმები, ნი--------------ლის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და ფოტოსურათები, მოწმეების: მა--------------ძის, ნი----------------აძის, მა----------------ის, კო------------------ის და და------------ის გამოკითხვის ოქმები, მა--------------ძის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და ფოტოსურათები, ნი----------------აძის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და ფოტოსურათები, ირ-------------ძის დაკავების ოქმი, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება და საქმეში არსებული სხვა მასალათა ერთობლიობა.

სასამართლო, მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, აფასებს საქმესთან მათი რელევანტურობის, უტყუარობის, საკმარისობის თვალსაზრისით და ერთმნიშვნელოვნად დადასტურებულად მიაჩნია **ირ-------------ძის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით** (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ), **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით (**ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის და ორი პირის მიმართ), **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი) -** ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ,,დ'' ქვეპუნქტებით (**სიცოცხლის მოსპობის მუქარა,

როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ) და **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" ქვეპუნქტებით (2020 წლის 23 თებერვლის ეპიზოდი) -** ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ - წარდგენილ ბრალდებებში, განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ასეთი დასკვნა კი ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ უტყუარ, პირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

3. სამართლებრივი შეფასება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან. (El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia № 39630/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება; Hassan v The UK №29750/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 201- წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება).

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმები

განიმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაში საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის მიხედვით, „ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „in dubio pro reo”, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს მოთხოვნას, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს. მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. ამდენად, უტყუარი მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს განაჩენის დადგომისათვის უალტერნატივო საშუალებას. ამასთანავე, დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, აღასრულოს მართლმსაჯულება, არ იქნეს დასუსტებული ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებელ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩენს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესახებ“.
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **82.3** მუხლით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **269.2** მუხლით, არ შეიძლება, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **3.13** მუხლის მიხედვით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის

ბრალეულობაში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი დადგენილია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Taniş and Others v. Turkey (no. 65899/01,ECHR 30/11/2005) განმარტა შემდეგი: „წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს უკვე დადგენილ სტანდარტს - გონივრულ ეჭვს მიღმა. მსგავსი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნებიდან, ან მსგავსი უდავო ფაქტების ვარაუდიდან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა ქცევა მტკიცებულებათა მოპოვებისას შესაძლებელია იყოს მხედველობაში მიღებული“. სასამართლომ ასევე საქმეში: Shlychkov v. Russia, (no.40852/05, § 56, ECHR 09/02/2016) განმარტა: მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო იყენებს ,,გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებით სტანდარტს, მაგრამ ამატებს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, აშკარა და ურთიერთშეთანხმებული დასკვნებიდან ან ანალოგიური ფაქტის შესახებ უტყუარი პრეზუმფციების ერთობლიობიდან (ასევე იხ.: Keller v. Russia, no. 26824/04, § 11-, ECHR 17/10/2013; Huseynli and others v. Azerbaijan, no(s).67360/11, 67964/11, 69379/11, § 87, ECHR 11/02/2016; Baka v. Hungary [GC], no. 20261/12 §1-3, ECHR 23/06/2016; Zyakun v.Ukraine, No. 34006/06, §40, ECHR 25/02/2016). ამდენად, მტკიცების სტანდარტი არაა სავალდებულო იყოს აბსოლუტურად სარწმუნო, თუმცა, უნდა აკმაყოფილებდეს შესაძლებლობის საკმაოდ მაღალ სტანდარტს. რაც შეეხება საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, no. 10590/93, 06/12/1988, პუნქტი 68). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychevy v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, პუნქტი 32).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა

გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

სასამართლო განმარტავს, რომ პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებების უტყუარობის ხარისხი არის მაღალი. მტკიცებულებათა ერთობლიობა არ უნდა ტოვებდეს პასუხგაუცემელ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს.

მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულმა **ირ----–----------ძემ,** მის მიერ განხორციელებული ქმედებებით ჩაიდინა:
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის და ორი პირის მიმართ;
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ;
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის

წევრის მიმართ;
აღნიშნული ქმედებები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ,,დ'' ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2020 წლის 23 თებერვლის ეპიზოდი), რის გამოც ირ----–----------ძე ამ კვალიფიკაციით უნდა იქნეს ცნობილი დამნაშავედ.

4. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ირ----–----------ძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ აღიარა ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ირ----–----------ძეს არ გააჩნია.

5. სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

სასამართლო განმარტავს, რომ სასჯელის სამართლიანობა, სასამართლომ უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული ჩადენილი ქმედება და მისი ჩამდენი პირი თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა, შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი უნდა იყოს პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან.

სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ირ---–----------ძემ აღიარა ჩადენილი დანაშაულები, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია. სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომ ირ---–----------ძე მეუღლის მიმართ სისტემატურ შეუარცხყოფას და დამცირებას ანხორციელებდა არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც ირ---–----------ძე ძალადობდა მეუღლეზე არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, რაზეც მამის მიმართ საყვედურს გამოთქვამდნენ მისი არასრულწლოვანი შვილები, აღნიშნულით განაწყენებული ირ---–----------ძე ანახორციელებდა ძალადობას როგორც არასრულწლოვანი გოგონას, ასევე ვაჟის მიმართ, რითაც მათ აყენებდა ფიზიკურ ტკივილს (ასეთ ფაქტს არასრულწლოვანი გოგონას მიმართ ორჯერ ჰქონდა ადგილი), ასევე ცულის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა იგი მეუღლეს და არასრულწლოვან შვილებს.

ამდენად, **ირ---–----------ძეს** უნდა შეეფარდოს სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რაც გახდება საფუძველი მომავალში საზოგადოებაში მისი უსაფრთხო ინტეგრაციისა და იქნება დამაფიქრებელი ბრალდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, მართლწინააღმდეგობა, გამოწვეული შედეგის სიმძიმე და ბოლოს, უნდა შეამციროს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას. სასამართლო ასევე აფასებს ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, ხასიათს და ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნებისათვის მიაჩნია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, **ირ---–----------ძეს** სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ,,დ'' ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2020 წლის 23

თებერვლის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის გათვალისწინებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთის სახით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, **ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი.**

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ირ----–----------ძეს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენა, აღიარებს დანაშაულებს, მან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელის ნახევარი უნდა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო ნახევარი უნდა ჩაეთვალოს პირობით მსჯავრად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა რა დანაშაულთა ერთობლიობა, ირ----–----------ძეს საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესის გათვალისწინებით.

6. ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **81-ე** მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით, განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია; დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება,

უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.
ხის ტარიანი ცული, რომელიც ინახება შსს ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს, ხოლო DVD დისკი, რომელიც ინახება შსს ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოში, უნდა დაერთოს მოცემულ საქმეს და შენახული უნდა იქნას სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე, 53-ე, 59-ე მუხლებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე, 258-ე, 259-ე, 260-ე, 271-ე, 272-ე, 277-ე და 293-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ირ---—----------ძე ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ,,დ'' ქვეპუნქტებით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2020 წლის 23 თებერვლის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს:

1.1. ირ---—----------ძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით.

1.2. ირ---—----------ძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' "ქვეპუნქტებით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით.

1.3. **ირ---—----------ძეს** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2019 წლის ოქტომბრის თვის ეპიზოდი) ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 (ერთი) წლის და 3 (სამი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 (ერთი) წლის და 3 (სამი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით.

1.4. **ირ---—----------ძეს** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'', ,,დ'' ქვეპუნქტებით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით.

1.5. **ირ---—----------ძეს** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე** მუხლის **მე-2** ნაწილის ,,ა'', ,,ბ'' ქვეპუნქტებით (2020 წლის 23 თებერვლის ეპიზოდი) ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით.

1.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს და **საბოლოოდ, ირ---—----------ძეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით. დანიშნული ძირითადი სასჯელიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 (ერთი) წლის და 3 (სამი) ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 (ერთი) წლის და 3 (სამი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 (სამი) წელი.**

2. მსჯავრდებულ **ირ---—----------ძის** მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს

დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო და მის მიმართ სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყოს მისი დაკავების დღიდან, კერძოდ **2020 წლის 23 თებერვლის 16:10 საათიდან**.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლის და ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების გაწევა დაევალოს **აჭარისა და გურიის პრობაციის ბიუროს.**

4. საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტა:

4.1. ხის ტარიანი ცული, რომელიც ინახება შსს ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოში, განადგურდეს.

4.2. DVD დისკი, რომელიც ინახება შსს ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოში, დაერთოს მოცემულ საქმეს და შენახული იქნას სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

5. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

6. განაჩენის გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მისი გამოცხადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე მარინა კიკნაძე